სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

12/03/2025

MES 0 25 0000271279

სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სწავლის საფასურის დაფინანსების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 2020 წლის 19 აგვისტოს გაფორმებული №01-08-17/26-2020-4 მემორანდუმის, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 26 ივლისის №01-06-02/42 დადგენილების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2025 წლის 7 მარტის MOD 8 25 00288063 წერილისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურის ბილინგ ცენტრის ხელმძღვანელის, გენო მორჩილაძის 2025 წლის 11 მარტის N 263807 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2020 წლის 19 აგვისტოს გაფორმებული მემორანდუმის (N 01-08-17/26-2020-4) ფარგლებში (რომელიც ითვალისწინებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დასაქმებულ პირთა და მათი ოჯახის წევრების სამინისტროს მიერ სწავლის საფასურის დაფინანსებას 50%-ის ოდენობით), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული სიით განსაზღვრულ პირს სამინისტროს მიერ დაფინანსებული სწავლის საფასურის ოდენობის გათვალისწინებით, გაეწიოს შეღავათი და გათავისუფლდეს 2024-2025 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სწავლის საფასურის დარჩენილი 50%-ის გადახდისგან:

N	სახელი, გვარი	პირადი	საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ფაკულტეტი	დაფინანსებული თანხა
1	ანა ხურცილავა		ბაკალავრი	სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობები	562.50

2. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ